იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 71 „02" „დეკემბერი" 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

"მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

"იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 25–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. "მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქმეში ჩართვის პროცედურის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

5^1. ღია კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატები დირექტორის გადაწყვეტილებით ირიცხებიან მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდგომ კანონით დადგენილი წესით. ამასთან, დირექტორი უფლებამოსილია, რომ ღია კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატების მოწვეულ

საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში ჩარიცხვამდე, კონკურსის შედეგად შერჩეულ კანდიდატთან გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება არაუმეტეს 1 წლის ვადით, იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმების შესახებ. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს დახასიათების საფუძველზე, დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში ჩარიცხვის შესახებ. შრომითი ხელშეკრულების პირობები და ანაზღაურების წესი განისაზღვრება კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

2. ცვლილება შევიდეს, "მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქმეში ჩართვის პროცედურის მე–20 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 20. ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის აპარატში წარმოდგენილი საქმეთა შეფასების შემდეგ, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველო, შემდგომი რეაგირებისათვის, წერილით (დანართი N 9) მიმართავს სამსახურის დირექტორს, რასაც თან ერთვის რეესტრის ადვოკატთა ანგარიშგების დოკუმენტები – მათში არსებული შეფასებებით, ადვოკატთა მიერ შესრულებული მოქმედებების ამსახველი დოკუმენტაცია და ასანაზღაურებელ საქმეთა სია.

3. ცვლილება შევიდეს, "მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქმეში ჩართვის პროცედურის 21–ე მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 21. სამსახურის აპარატში ასანაზღაურებლად წარდგენილ რეესტრის ადვოკატთა საქმეების აღრიცხვას აწარმოებს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველო სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალში (დანართიN 3).

4. ცვლილება შევიდეს, "მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქმეში ჩართვის პროცედურის 22–ე მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. თუ რეესტრის ადვოკატის მიერ წარდგენილი საქმის მასალები ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგო ან/და ბუნდოვანი და შეუსაბამო ანაზღაურების მოთხოვნასთან, ან/და შეიცავს ამ გადაწყვეტილების, სამსახურთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან/და ადვოკატის სახელმძღვანელო სხვა საკანომდებლო აქტების მოთხოვნათა დარღვევას, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველოს შეუძლია გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნა განხორციელებული საპროცესო მოქმედებების ანაზღაურებაზე უარის ან დროებითი უარის თქმის თაობაზე, რომელიც წარედგნება სამსახურის დირექტორს.

5. ცვლილება შევიდეს, "მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქმეში ჩართვის პროცედურის 22–ე მუხლის მესამე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ხარვეზის არ აღმოფხვრის ან ნაწილობრივ აღმოფხვრის შემთხვევაში, სამსახური აანაზღაურებს საქმეში მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველოს მიერ დადასტურებულად მიჩნეულ აქტივობებს.

6. ცვლილება შევიდეს, "მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქმეში ჩართვის პროცედურის დანართი N 3–ში და ამოღებულ იქნეს სიტყვები – "რეესტრის მენეჯერის მიერ".

7. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ძალაშია ხელმოწერისთანავე. გადაწყვეტილების 2–6 პუნქტები ძალაში შედის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველოს ფორმირებისთანავე.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე : ნათია ჩირიკაშვილი

თავმჯდომარის მოადგილე: თეა ჭეიშვილი

საბჭოს წევრები:

ზაზა ხარებავა

ფატმან არზიკიანი

პავლე აბაიაძე

ირაკლი გვარამაძე

რამაზ ჩინჩალაძე